საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 284

თბილისი „12" 03 2019 წ.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის სპორტული ფორმის/ეკიპირების ერთიანი დიზაინის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადებისა და გამარჯვებული დიზაინის შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „კ", „ლ" და „რ" ქვეპუნქტების, „სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის" დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N85 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 5 მარტის N267309 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სპორტის სხვადასხვა სახეობებში საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის სპორტული ფორმის/ეკიპირების ერთიანი დიზაინის შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მიხეილ გიორგაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) შალვა გოგოლაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ირაკლი დოლაბერიძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

დ) ვასილ ლიპარტელიანი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის განვითარების დეპარტამენტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების სამმართველოს უფროსი - კომისიის მდივანი;

ე) ლერი ხაბელოვი - ა(ა)იპ - „საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის" (ს/კ 202904054) პრეზიდენტი;

ვ) ემზარ ზენაიშვილი - ა(ა)იპ - „საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის" (ს/კ 202904054) გენერალური მდივანი;

ზ) შალვა მაისურაძე - ა(ა)იპ - „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის“ (ს/კ 400193090) პრეზიდენტი;

თ) გიორგი ათაბეგაშვილი - ა(ა)იპ - „საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის“ (ს/კ 204889282) პრეზიდენტი;

ი) თამაზ გეგეშიძე - ა(ა)იპ - „საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის“ (ს/კ 204889488) პრეზიდენტი;

კ) დავით წიკლაური - ა(ა)იპ - „საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის“ (ს/კ 204896942) პრეზიდენტი;

ლ) აკაკიოს კახიაშვილი - ა(ა)იპ - „საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის“ (ს/კ 204892777) პრეზიდენტი;

მ) კონსტანტინე ლაშხი - ა(ა)იპ - „საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის“ (ს/კ 203845296) პრეზიდენტი;

ნ) მარიამ გიორგობიანი - ა(ა)იპ - „საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის“ (ს/კ 211402739) პრეზიდენტი;

ო) ნინო მგალობლიშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

პ) ლეილა ენუქიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგი.

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით შექმნილმა კომისიამ უზრუნველყოს:

ა) კონკურსის ვადების, პირობების და სხვა საორგანიზაციო/ტექნიკური საკითხების განსაზღვრა;

ბ) კონკურსში მონაწილეების წარმოდგენილი მასალებისა და განაცხადების განხილვა;

გ) კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენა.

4. ამ ბრძანების მეორე პუნქტით შექმნილი კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის სულ მცირე ნახევარი.

5. ამ ბრძანების მეორე პუნქტით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი არის კომისიის თავმჯდომარის ან მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ხმა.

6. ამ ბრძანების მეორე პუნქტით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) და მდივანი (მისი არყოფნის შემთხვევაში, დამსწრე კომისიის წევრების მიერ სხდომაზე არჩეული კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი).

7. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება და ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსის თითოეულ ეტაპთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი